

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №10/2, 16.08.2018
სენატის თავჯდომარე, პროფესორი,
რექტორი _____ ი. შარაბიძე



სტუდენტთა რეგისტრაციის და მობილობის პროცედურა

ND 2-F02

შეთანხმებულია

იურიდიული სამსახურის უფროსი _____ რ. ყიფიანი

შემუშავებულია:

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურის უფროსი _____ ე. მსხალაძე

შინაარსი

1	ნორმატიული ბაზა	3
2	ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	4
3	სტუდენტის /მაგისტრანტობის კანდიდატის რეგისტრაცია	7
4	ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე	11
5	მობილობის პროცესი	12
6	სტუდენტთა შიდა მობილობა	14
7	სტუდენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია	16
8	პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის რეგისტრაცია	17
9	გავრცელების არე	21

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრიცხული ვერსიონი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშასური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge

1. ნორმატიული ბაზა

- 1.1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
- 1.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-09;
- 1.3. ბრძანება N07/6 „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 29.01.2016;
- 1.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/6 2011 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-15;
- 1.5. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №227 22. 04. 2009წ. სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-16;
- 1.6. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №10/6 04.02. 04. 2010წ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ ND 1-01-17;
- 1.7. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №224/6 29. 12. 2011წ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-18;
- 1.8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №121/6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ND 1-01-10;
- 1.9. ბრძანება №120/6 „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ ND 1-01-08;
- 1.10. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
- 1.11. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
- 1.12. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
- 1.13. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
- 1.14. გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა ND 2-F06;
- 1.15. სასწავლო პროცესის პროცედურა, სწავლების საფეხური ბაკალავრიატი ND 2-F04;
- 1.16. სასწავლო პროცესის პროცედურა, სწავლების საფეხური მაგისტრატურა ND 2-F05;

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დოკუმენტაციის უზრუნველყოფის განყოფილება“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვაო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

2. ტერმინები. განმარტებები. შემოკლებები.

2.1. ტერმინები

2.1.1. აბიტურიენტი – სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.1.2. აკადემიური ხარისხი – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;

2.1.3. აკრედიტაცია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით;

2.1.4. ბაკალავრიატი – უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური – ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის მაგისტრატურაში შემდგომისწავლისათვის, ან ისეთი პროფესიის ასათვისებლად, რომელიც სტუდენტისაგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალ საწყის მომზადებას მოითხოვს;

2.1.5. გადაყვანის წესით ჩარიცხვა - ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაბაკალავრი – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ენიჭება;

2.1.6. დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრიფტული ვერსიონი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

2.1.7. ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS) - სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

2.1.8. ერთიანი ეროვნული გამოცდა – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად;

2.1.9. კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

2.1.10. მაგისტრატურა – უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური; ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას;

2.1.11. მაგისტრი – აკადემიური ხარისხი, რომელიც უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ენიჭება;

2.1.12. მოდული – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;

2.1.13. მობილობა-სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

2.1.14. რექტორი – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე;

2.1.15. საგანმანათლებლო პროგრამა – სასწავლო კურსების ერთობლიობა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დირიჯული ვეზუბლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაკანონება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაოცნობილი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული;
- 2.1.16. საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;
- 2.1.17. სენატი – საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.18. სტუდენტი – პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.19. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს;
- 2.1.20. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობასწარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
- 2.1.21. ფაკულტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.22. შიდა მოძრაობა - ფაკულტეტის ან სპეციალობის შეცვლა სტუდენტთა რეგისტრაცია -სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაციის გავლა.
- 2.1.23. ხარისხის უზრუნველყოფა – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედარ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრივხელმოწერა“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვაო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

2.2. შემოკლებები.

2.2. ND – ნორმატიული დოკუმენტი;

2.3. აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

2.4. სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

2.5. ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

2.3. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტუდენტთა და მაგისტრანტთა, ასევე პროფესიული სწავლების სტუდენტთა ჩარიცხვის, რეგისტრაციისა და მობილობის პროცესს.

3. სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის რეგისტრაცია

3.1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტის სტატუსი

3.1.1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №127 28.03.2005 „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანება №227 22.04.2009წ. „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, ასევე ბრძანება №224/ნ 29.12.2011წ. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი“-სა და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დროებითი ვებ-პორტალი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არააქტიური“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

3.2. რეგისტრაცია ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაზე:

3.2.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებისთანავე სტუდენტი უნდა გამოცხადდეს აკადემიაში და წარმოადგინოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი შემდეგი საბუთები:

3.2.1.1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;

3.2.1.2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი;

3.2.1.3. ატესტატი (დადანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი). ატესტატის დედანის წარმოდგენის შემთხვევაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ გადაიღოს და დაიტოვოს ქსეროასლი, რაც მოწმდება მისი ხელმოწერით.

3.2.1.4. ფოტოსურათი 3X4 ფორმატის და ელექტრონული ვერსია;

3.2.1.5. წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ან სამხედრო ბილეთის ასლი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვაჟებისათვის).

წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის დედანის წარმოდგენის შემთხვევაში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ გადაიღოს და დაიტოვოს ქსეროასლი, რაც მოწმდება მისი ხელმოწერით;

3.2.1.6. ჯანმრთელობის ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №086 ან №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ სამედიცინო დაწესებულებაში (მხოლოდ საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩარიცხვისათვის). თუ ცნობის საფუძველზე არ დგინდება სტუდენტის

ვარგისიანობა საზღვაო სპეციალობებზე სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტი ხელს აწერს გაფრთხილების ბარათს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N01 დამტკიცებული „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრულ შეზღუდვებზე მეზღვაურთათვის და ეძლევა რეკომენდაცია მეორე სემესტრიდან ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით.

3.2.2. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური სტუდენტთა რეგისტრაციის მონაცემების საფუძველზე ამზადებს მოხსენებით ბარათს, რის საფუძველზეც მზადდება რექტორის ბრძანება სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ, რომლის შედეგადაც კანდიდატს მიენიჭება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტის სტატუსი.

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „ადრინტული ვერსიის ასლი“. რეკვიზიტი ასლებზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაოქონოლოგიური“ დოკუმენტი და მასზე ხაზიხზის სასახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

3.2.3. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან, წარმოადგინოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით გადახდილი სწავლის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი.

3.2.4. სტუდენტთა რეესტრზე პასუხიმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ჩარიცხული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ასახვა რეესტრში.

3.2.5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური სტუდენტთა პირად საქმეებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს შესაბამის ფაკულტეტის დეკანს.

3.3. რეგისტრაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე:

3.3.1. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გამოცხადებისთანავე მაგისტრანტობის მსურველი უნდა გამოცხადდეს აკადემიაში რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში და წარმოადგინოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი შემდეგი დოკუმენტები:

3.3.1.1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;

3.3.1.2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო საგამოცდო - საინდენტიფიკაციო ბარათი ან ბარათის ასლი;

3.3.1.3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ნოტარიულად დამოწმებული; (დიპლომი; დიპლომის დანართი ან ასლი ნოტარიულად დამოწმებული) ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ;

3.3.1.4. პირადობის მოწმობა (ასლი);

3.3.1.5. 2 ფოტოსურათი 3X4 ფორმატის და ელექტრონული ვერსია;

3.3.1.6. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №086 ან №100).

3.3.1.7. წვევამდელის სამხედრო-საადრიცხვო მოწმობა (დედანი) ან სამხედრო ბილეთის ასლი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვაჟებისათვის);

3.3.2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობისკანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის გამოქვეყნებიდან 3 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.3.3. მაგისტრანტობის მსურველთა რეგისტრაციის მონაცემები გადაეცემა შესაბამის საგამოცდო კომისიას.

3.3.4. გამოცდის/გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს ადგენს საზღვაო აკადემიის სენატი.

3.3.5. საზღვაო აკადემიის მიერ განსაზღვრული გამოცდა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დამტკიცებულია ფაკულტეტის

საბჭოს მიერ და მათი ჩატარების წესსა და ვადებს ადგენს ფაკულტეტის

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრივბულივგუმპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაკანონებული პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

საბჭო.

3.3.6. გამოწვევის საგამოცდო ვადების, გამოცდის ფორმის და ფორმატის (გამოცდის ინდივიდუალური წესით ჩატარება) შესახებ განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, რომლის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს.

3.3.7. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური რეგისტრაციის მონაცემების საფუძველზე ამზადებს მაგისტრანტობის კანდიდატთა მისაღებ გამოცდებზე (შიდა სასპეციალიზაციო გამოცდებზე) დაშვებისა და გამოცდების შედეგების შემდგომ მათი ჩარიცხვის შესახებ მოხსენებით ბარათს/ებს, რის საფუძველზე შესაბამისი სამსახური ამზადებს მაგისტრანტობის კანდიდატთა დაშვებისა და ჩარიცხვის ბრძანების პროექტს/ებს.

3.3.8. აკადემიის რექტორი, მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომლის შედეგადაც კანდიდატს მიენიჭება აკადემიის მაგისტრანტის სტატუსი.

3.3.9. აკადემიაში ჩარიცხული მაგისტრანტების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №768 28.09.2012წ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მაგისტრანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით წარმოსადგენი ინფორმაციის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების თანახმად ცენტრში იგზავნება ინფორმაცია რეესტრში დამატების თაობაზე.

3.3.10. ჩარიცხვის შემდეგ მაგისტრანტი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება აკადემიასთან და წარმოადგინოს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებით გადახდილი სწავლის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი.

4. ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

4.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე აკადემიაში ჩარიცხვის უფლება აქვთ პირებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224 ბრძანების მუხლი 2-ის შესაბამისად. ასეთი უფლების მქონე პირები განცხადებით მიმართავენ აკადემიის რექტორს, რათა მიიღონ თანხმობის წერილი აკადემიის მიერ მათთვის ვაკანტური ადგილის გამოყოფის შესახებ. განცხადების შემდეგ ჩარიცხვის მსურველი გაივლის გასაუბრებას სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით. გასაუბრების წესი რეგულირდება ამავე პროცედურის 4' მუხლით. თანხმობის წერილს სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის თაობაზე.“

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედარ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დროებითი ვებ-საიტი“. რეკვიზიტი ასლზე დაკანონებული პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე აკადემიაში ჩარიცხვის უფლება აქვთ პირებს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224 ბრძანების მუხლი 2-ის შესაბამისად. ასეთი უფლების მქონე პირები განცხადებით მიმართავენ აკადემიის რექტორს, რათა მიიღონ თანხმობის წერილი აკადემიის მიერ მათთვის ვაკანტური ადგილის გამოყოფის შესახებ. თანხმობის წერილს სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარადგენენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის თაობაზე.

4.2. ცენტრის მიერ ხდება აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/

სტუდენტის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და შესაბამისი ინფორმაცია წერილის სახით ეგზავნება აკადემიას.

4.3. დადებითი პასუხის შემდგომ ჩარიცხვის მსურველი პირი უნდა გამოცხადდეს აკადემიაში და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია:

4.3.1. ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე;

4.3.2. პირადობის მოწმობის ასლი;

4.3.3. ატესტატი(დედანი) ან ატესტატის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

4.3.4. 4 ფოტო 3X4 ფორმატის და ელექტრონული ვერსია;

4.3.5. წვევამდელის სამხედრო - სააღრიცხვო მოწმობა(დედანი) ან სამხედრო ბილეთის ასლი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ვაჟებისათვის);

4.3.6. ჯანმრთელობის ცნობა - საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩასარიცხად საჭიროა სამედიცინო ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №086 ან №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს საქართველოს საზღვაო სამედიცინო ცენტრში.

4.3.7. პირადი საქმის დედანი (მხოლოდ სტუდენტებისათვის);

4.3.8. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, (დიპლომი; დიპლომის დანართი) ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ (მხოლოდ მაგისტრებისათვის);

4.4. წარმოდგენილი დოკუმენტების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე აკადემიის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომლის შედეგადაც კანდიდატს ენიჭება აკადემიის სტუდენტის სტატუსი.

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრიცხულივეზუპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვაო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bama.edu.ge

4.5. აკადემიაში სტუდენტის ჩარიცხვის შემდგომ ცენტრში იგზავნება წერილი, რომელსაც თან ერთვის რექტორის ჩარიცხვის ბრძანება და სათანადო დოკუმენტები აკადემიის სტუდენტთა რეესტრში დამატების თაობაზე.

4.6. ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება აკადემიასთან და წარმოადგინოს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებით გადახდილი სწავლის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი.

„4¹ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველთა გასაუბრება ენის ცოდნის დადგენის მიზნით.

4¹.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველ პირს ჩაუტარდეს გასაუბრება სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის ენაში ცოდნის შემოწმების მიზნით;

4¹.2. გასაუბრებას ატარებს აკადემიის რექტორის ბრძანებით შედგენილი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის:

- აკადემიის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
- ჰუმანიტარულ და სოციალურ დისციპლინათა დეპარტამენტის (ქართული ენის შემთხვევაში) ან უცხო ენათა დეპარტამენტის (ინგლისური ენის შემთხვევაში) წარმომადგენელი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;
- შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- რექტორის ბრძანებით ასევე შეიძლება განისაზღვროს კომისიაში დამატებით სხვა პირის არსებობა.

4¹.3. გასაუბრება ტარდება ჩარიცხვის მსურველისათვის წინასწარ ცნობილი თემატიკის მიხედვით;

4¹.4. გასაუბრებაზე კომისიის წევრების მიერ ხდება ჩარიცხვის მსურველის შეფასება: „დადებითი“ ან „უარყოფითი“ შეფასებით;

4¹.5. თუ დამსწრე კომისიის წევრთა ნახევარზე მეტის მიერ ჩარიცხვის მსურველი შეფასდა „დადებითი შეფასებით“ - სტუდენტს მიეცემა რეკომენდაცია სასურველ სპეციალობაზე ვაკანტური ადგილის გამოყოფის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩარიცხვის მსურველის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

4¹.6. მოხდება გასაუბრების სრული პროცესის ვიდეო-ჩაწერა. დადებითი პასუხის შემთხვევაში ვიდეო-ჩანაწერი განთავსდება აკადემიის ვებ-სერვერზე, რომლის ბმულიც მითითებული იქნება თანხმობის წერილში.

სტატუსი: მოქმედი
რევიზია № 6
რევიზიის თარიღი 16.18.2018
მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრივხელმოწერა“. რევიზიის ასლებზე დაკანონებული პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო კონტროლის მიზნით არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

4¹.7. გასაუბრების კომისიის ოქმი გადაეცემა სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობის და შეფასების დეპარტამენტს რომელიც დადებითი პასუხის შემთხვევაში ამზადებს თანხმობის წერილს.“

5. მობილობის პროცესი

5.1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. მობილობის მსურველი სტუდენტი რეგისტრირდება ცენტრის ელექტრონულ პორტალზე.

5.2. რეგისტრაციის ვადების დასრულების შემდეგ ცენტრის ელექტრონულ პორტალზე ქვეყნდება მობილობის მსურველ იმ პირთა სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი აკადემიაში ჩარიცხვის თაობაზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს აკადემიას.

5.3. თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით გადასვლის მსურველ სტუდენტთა რაოდენობა აღემატება ამ მიზნით სენატის მიერ გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, პროგრამაზე ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს დამატებითი პირობების ან კონკურსის საფუძველზე, რომლის პირობებს ადგენს ფაკულტეტის საბჭო და ბრძანების სახით გამოსცემს აკადემიის რექტორი;

5.4. ჩარიცხვის მსურველებმა აკადემიაში რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

5.4.1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);

5.4.2. პირადობის მოწმობა (ასლი);

5.4.3. საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის ასლი);

5.4.4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დეკანის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული,

5.4.5. სტუდენტის წარმატების ბარათის ასლი, რომელშიც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების მოცულობა (კრ/სთ) და მიღებული შეფასებები, დეკანის ხელმოწერითა და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული.

5.5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური ინფორმაციას მობილობის მსურველთა შესახებ წარუდგენს ფაკულტეტს, სტუდენტის აკადემიური მოსწრების ბარათის ასლი გადაეცემა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, რის შემდეგაც ხდება მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამისა და მის მიერ აკადემიაში არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დასკვნის მომზადება. რაც დასტურდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

5.6. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მობილობის მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების დასკვნებთან ერთად გადაეცემა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს, რომელიც ახდენს ამ დასკვნების გაცნობას მობილობის

ND 2-P02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მიზეზად არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „დრიფტული ვერსიონი“. რევიზიის ასლებზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

მსურველი სტუდენტებისათვის. სტუდენტები თანხმობას ადასტურებენ ხელმოწერით, სტუდენტის უარი დასკვნის ხელმოწერაზე გულისხმობს უარს მობილობაზე და წყდება აღნიშნული სტუდენტს მიმართ შესაბამისი წარმოება.

5.7. ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებისა და კრედიტების აღიარების დასკვნების საფუძველზე მზადდება მობილობის მსურველ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც მობილობის მსურველ სტუდენტების თაობაზე მომზადებულ წერილს დანართის სახით ერთვის და იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5.8. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განიხილავს პროექტში მოყვანილი თითოეული სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისობას საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამასთან და გასცემს დასკვნას რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტზე;

5.9. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის საფუძველზე აკადემიის რექტორი გამოსცემს გადაყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას ჩარიცხვის შესახებ), რომელიც გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

5.10. სტუდენტი უნდა გამოცხადდეს საზღვაო აკადემიაში და წარმოადგინოს პირადი საქმის დედანი. რომელიც მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს.

5.11. სტუდენტმა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება აკადემიასთან და წარმოადგინოს სწავლის საფასურის დამადასტურებელი ქვითარი.

6. სტუდენტთა შიდა მობილობა

6.1. შიდა მობილობის უფლება აკადემიის სტუდენტს აქვს სწავლების მეორე სემესტრიდან.

6.2. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს მიეცემათ წლის განმავლობაში ორჯერ, სემესტრებს შორის. რეგისტრაციის ვადები, პირობები, ვაკანტური ადგილების რაოდენობები, განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

6.3. შიდა მობილობის რეგისტრაციის განმავლობაში აკადემიის სტუდენტს უფლება აქვს წარადგინოს განცხადება მობილობის შესახებ. განცხადებაში შეუძლია მიუთითოს რამოდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა პრიორიტეტების მითითებით.

6.4. განცხადებას თან უნდა დაერთოს ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის საშუალო ქულა, რომლის გათვალისწინებითა შედგება სტუდენტთა რეიტინგი. ცნობას გასცემს შესაბამისი ფაკულტეტი.

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დირიჟიბლუგუნგპლანი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bama.edu.ge

6.5. განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხდება ფაკულტეტის შეცვლა.

6.6. რეგისტრაციის ვადების დასრულების შემდგომ ფაკულტეტი ადგენს სტუდენტთა რეიტინგებს სასურველი სპეციალობების მიხედვით.

6.7. რეიტინგების შედგენის შემდეგ, შესაბამის მიმართულებებს გადაეცემათ სტუდენტთა ბარათები, კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნები მზადდება პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების წესი მიხედვით. დასკვნებში მითითებულია თითოეულ სტუდენტზე რამდენი კრედიტის აღიარება მოხდა და რომელი სემესტრიდან მიეცა სწავლის გაგრძელების რეკომენდაცია.

6.8. ფაკულტეტები უზრუნველყოფენ დასკვნების შეთანხმებას სტუდენტებთან, სტუდენტი თავის თანხმობას ადასტურებს დასკვნაზე ხელმოწერით. სტუდენტის უარის შემთხვევაში, თუ არსებობს სხვა სტუდენტი, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული კონკურსის გამო არ აღმოაჩნდა საკმარისი ქულა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსახვედრად, შესაძლებელია ასეთ სტუდენტს მიეცეს მობილობის უფლება (ამ შემთხვევაში დაჩქარებული წესით კეთდება ასეთი სტუდენტის კრედიტების აღიარება და შეთანხმება სტუდენტთან).

6.9. თითოეულ სტუდენტთან შეთანხმების შემდეგ აღიარების დასკვნები გადის ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად. ფაკულტეტის საბჭოს განხილვის შემდეგ, დადგენილების საფუძველზე ფაკულტეტები ამზადებენ მოხსენებით ბარათებს შიდა მობილობის ბრძანების დასაწერად. ფაკულტეტები ახდენენ იმ სტუდენტთა პირადი საქმეების გადაცემას მეორე ფაკულტეტისათვის, რომელთაც შეიცვალეს ფაკულტეტი.

6.10. მობილობის პროცესის დამთავრების შემდეგ სტუდენტთან ფორმდება ახალი ხელშეკრულება. სტუდენტთა განცხადებები და კრედიტების აღიარების დასკვნები განთავსდება სტუდენტის პირად საქმეში.

7. სტუდენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია

7.1. ყოველი სემესტრის დაწყებამდე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, ტარდება სტუდენტთა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მიმდინარე სემესტრში შესასწავლი სასწავლო კურსების არჩევას. ფინანსური რეგისტრაცია ნიშნავს ამ სასწავლო კურსების საფასურის გადახდას.

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრიფტული ვერსიონი“. რეკვიზიტი ასლზე დაკანონებული პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

- 7.2. რეგისტრაციის ვადებში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - დაარეგისტრიროს კურიკულუმით განსაზღვრული ის სასწავლო კურსები, რომლებიც ისწავლება მიმდინარე სემესტრში, ან ისწავლებოდა გასულ სემესტრებში.
- 7.3. დაუშვებელია სტუდენტის მიერ წინასწარი, მომდევნო სემესტრში განსაზღვრული სასწავლო კურსების რეგისტრაცია.
- 7.4. სასწავლო სემესტრის დაწყების წინ თუ სტუდენტის დავალიანება შეადგენს 45 კრედიტს, სტუდენტს ეკრძალება მიმდინარე სემესტრის სასწავლო კურსების დაარეგისტრირება და ვალდებულია დაარეგისტრიროს მხოლოდ გასული სემესტრის სასწავლო კურსები. ასეთ შემთხვევაში თუკი აუცილებელია სტუდენტს უკეთდება კრედიტების თავსებადობა ახალ პროგრამაზე.
- 7.5. თუ სტუდენტი ერთი და იგივე საგანს ვერ აითვისებს 3-ჯერ, მან აუცილებლად უნდა გადავიდეს ისეთ სპეციალობაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც არ არის ეს სასწავლო კურსი გათვალისწინებული, წინააღმდეგ შემთხვევაში უჩერდება სტუდენტის სტატუსი და ეზღუდება ამავე სპეციალობაზე აღდგენის უფლება.
- 7.6. სტუდენტს უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი, თუკი ათვისებული არ აქვს რომელიმე საგანი, რომელიც წარმოადგენს ამ საგნის წინაპირობას.
- 7.7. სტუდენტს სემესტრში შეუძლია დაარეგისტრიროს მაქსიმუმ 45 კრედიტი (საზაფხულო (მოკლე) სემესტრში - არაუმეტეს 15 კრედიტი), იმის გათვალისწინებით, რომ წლის განმავლობაში დაარეგისტრიროს არაუმეტეს 75 კრედიტი.
- 7.8. აკადემიური რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონული სახით სპეციალურ პორტალზე, სურვილის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს რეგისტრაციისათვის მიაკითხოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს ან სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს.
- 7.9. აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ სტუდენტი ვალდებულია ამოებჭდოს სპეციალური ინვოისი და სრულად გადაიხადოს ინვოისში მითითებული თანხა. ასევე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდეს ფაკულტეტზე რეგისტრაციის ბარათზე ხელმოწერისათვის.
- 7.10. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში მოითხოვოს სემესტრული რეგისტრაციის გაუქმება-ცვლილება და გადახდილი თანხის დაბრუნება (თანხის დაბრუნება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში).
- 7.11. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და მიღებული შეფასებების აღიარების მოითხოვნის უფლებას.

8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის რეგისტრაცია და მობილობის პროცესი

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დროებითი ვებ-პორტალი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

8.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის რეგისტრაცია

8.1.1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად კანდიდატი უნდა დარეგისტრირდეს გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტზე და ჩააბაროს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული გამოცდა.

8.1.2. პროფესიული მომზადების ცენტრი პროფესიული ტესტირების შედეგების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ამზადებს პროფესიულ

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 6

რევიზიის თარიღი 16.18.2018

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრიცხულივეზუპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშასტური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის მოთხოვნით მოხსენებით ბარათს და ტესტირების შედეგების და მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს ჩარიცხვის ბრძანების პროექტს;

8.1.3. აკადემიის რექტორი მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომლის შედეგადაც აპლიკანტს მიენიჭება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული სტუდენტის სტატუსი ინდივიდუალური კოდით;

8.1.4. პროფესიული სტუდენტი ჩარიცხვის შემდეგ, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ვალდებულია წარმოადგინოს პროფესიული მომზადების ცენტრში შემდეგი დოკუმენტები:

8.1.4.1. განცხადება აკადემიის რექტორის სახელზე;

8.1.4.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

8.1.4.3. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე.

8.1.4.4. ჯანმრთელობის ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №086 ან №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ სამედიცინო დაწესებულებაში (მხოლოდ გემბანის რიგითისა და სამანქანე განყოფილების რიგითის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის). თუ ცნობის საფუძველზე არ დგინდება სტუდენტის ვარგისიანობა საზღვაო სპეციალობებზე სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტი ხელს აწერს გაფრთხილების ბარათს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N01 დამტკიცებული „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრულ შეზღუდვებზე მეზღვაურთათვის და ეძლევა რეკომენდაცია მეორე სემესტრიდან ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით.

8.1.4.5. ფერადი ფოტოსურათი (3×4 ფორმატის–2ცალი CD -დისკზე ჩაწერილი);

8.1.5. პროფესიული სტუდენტი ჩარიცხვის შემდეგ ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან;

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედარ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დირიჯიბლი“ რეკვიზიტი ასლზე და აკანონებული პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაინფორმალური“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

8.1.6. წინამდებარე ორი პუნქტის (8.1.4. და 8.1.5.) მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უფლებამოსილია ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს შეუწყვიტოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

8.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის (გარე მობილობა და შიდა მობილობა) პროცესი

8.2.1. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს.

8.2.1¹ პროფესიულ სტუდენტთა გარე მობილობა გულისხმობს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის უფლებას ამ პროცედურით დადგენილი წესით სწავლა გააგრძელოს აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან აკადემიის პროფესიული სტუდენტის უფლებას სწავლის გასაგრძელებლად გადავიდეს სხვა ავტორიზებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებაში.

8.2.1² შიდა მობილობა გულისხმობს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლას. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე;

8.2.2. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა (შიდა და გარე მობილობა) შეიძლება განხორციელდეს საგაზაფხულო ან საშემოდგომო მიღებების დროს, წინამდებარე მუხლის 8.2.12 პუნქტით დადგენილი წესით, 8.2.3. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი მობილობის მოთხოვნით შესაბამისი განცხადებით მიმართავს აკადემიის რექტორს.

8.2.4. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრივბულოგვუმპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაკანონება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინამდებარე მუხლებზე ასლი ჩაითვლება როგორც „არკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაზღვრო კონტროლისგან გამოსაზღვრავს არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე.

გ) ჯანმრთელობის ცნობა საზღვაო ფლოტის გემების მცურავ შემადგენლობაში ვარგისიანობის დასადგენად (ფორმა №086 ან №100). სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ სამედიცინო დაწესებულებაში (მხოლოდ საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე ჩარიცხვისათვის). თუ ცნობის საფუძველზე არ დგინდება სტუდენტის ვარგისიანობა საზღვაო სპეციალობებზე სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტი ხელს აწერს გაფრთხილების საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N01 დამტკიცებული „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრულ შეზღუდვებზე მეზღვაურთათვის და ეძლევა რეკომენდაცია მეორე სემესტრიდან ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით.

დ) ფერადი ფოტოსურათი (3×4 ფორმატის–2ცალი CD -დისკზე ჩაწერილი);

ე) პროფესიული სტუდენტის წარმატების ბარათის ასლი, რომელშიც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტების მოცულობა (კრ/სთ) და მიღებული შეფასებები შესაბამისი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული.

8.2.5. საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა დადასტურებული უნდა იყოს საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით, სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური შესაბამისობის დადგენის შემდეგ. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისობები და შეუსაბამობების საზღვაო აკადემიის იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელზეც გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველს რეგისტრირებულ პირს სურს სწავლის გაგრძელება;

8.2.5¹ მობილობის მსურველი პირისათვის კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“-თა და აკადემიის „პროგრამული თავსებადობის განსაზღვრისა და კრედიტების აღიარების წესი“-თ.

8.2.5² წინამდებარე პროცედურის 8.2.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები ინახება პროფესიული მომზადების ცენტრის მიერ წარმოებულ პროფესიულ სტუდენტთა

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედდ არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „დრიფტული ვერსიის“ რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაოქონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასაბურთო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bma.edu.ge

პირად საქმეში.

8.2.5³ მობილობის მსურველ პირთა კონკურენციის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კრედიტების აღიარების დოკუმენტების შედეგების მიხედვით იმ პროფესიულ სტუდენტს, რომლის მიერ განვლილი და ათვისებული კრედიტები მეტია.

8.2.5⁴ სტუდენტთა მობილობა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

8.2.6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად გადავიდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე;

8.2.7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე;

8.2.8. შიდა მობილობით სარგებლობა შესაძლებელია არაუგვიანეს პირველადი ჩარიცხვების საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებიდან 35 კალენდარული დღის განმავლობაში.

9. გაცრცელების არე

9.1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;

9.2. დოკუმენტის საკონტროლო ეგზემპლარი ინახება სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურში;

9.3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

9.4. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია www.office.bsma.edu.ge

ND 2-F02

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 5

რევიზიის თარიღი 18.10.2017

მოქმედებაშია 17.08.2012

მოქმედებს არ ჩაითვლება დოკუმენტის არცერთი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „აღრიცხული ეგზემპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge